სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს

განვითარების კონცეფცია

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო, როგორც საჯარო დაფინასებით უზრუნველყოფილი, მხოლოდ საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული, სამაუწყებლო ორგანო უნდა მაუწყებელობდეს, მხოლოდ საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე.

საზოგადოებიოსათვის საინტერესო პოლიტიკურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა მოვლენების ასახვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს, ისეთ სფეროებს რომელთაც კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე ნაკლებ ყურადღებას უთმობენ, სხვა მაუწყებლები.

პროგრამებსა და სიუჟეტებში უნდა აისახოს საზოგადოების სხვადასხვა ფენის პრობლემები და ინტერესები:

- ✓ სხვადასხვა რელიგიური და ეთნიკური ჯგუფები;
- ✓ სოფლად მაცხოვრებელი მოსახლეობა, მცირე მიწიანი ოჯახები, მათ შორის ეკომიგრანტები;
- ✓ პენსიონერები, უნარშეზღუდული ადამიანები;
- ✓ დროებით უმუშევრები;
- ✓ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა;

უნდა შეიქმნას პროგრამები, რომლებიც მოსახლეობას სისტემატიურად გააცნობს:

- ✓ თუ როგორ ივსება და განიკარგება ყველა დონის ბიუჯეტები, რა მიმართულებებზე კეთდება აქცენტები, როგორ ხდება უცხო ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, მათ შორის აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტური და ბალტისპირეთის ქვეყნების;
- ✓ სახელმწიფოს მიერ, პენსიების, დასაქმების, ჯანმრთელობის, განათლების და სხვა მიმართულებით გატარებული ღონისძიებებს, თუ როგორ გატარდა ისინი განვითარებულ ქვეყნებში, მათ შორის ევროკავშირში არც თუ ისე დიდი ხნის წინ გაწევრიანებულ პოსტსოციალისტურ ქვეყნებში;

სატელევიზიო და რადიო არხების ეთერში უნდა გავიდეს საინფორმაციო ტიპის გადაცემები, როგორც სახელმწიფო, ასევე უცხო ენებზე (ინგლისური, რუსული) რაც ხელს შეუწყობს, მოსახლეობას, მათ შორის ტურისტებს უკეთ გაიცნონ რეგიონი.

საჭიროა გაგრძელდეს ტელევიზიისა და რადიოს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა, რადგან შეფერხების შემთხვევაში მივიღებთ, სერიოზულ ჩავარდნებს.

როგორც ხედავთა, განვითარების კონცეფციის ძირითადი ნაწილი გაჯერებულია წინა კონცეფციის (წარმოდგენილი 2013 წელს) ასპექტებით, რომელთა დაფარვა მაუწყებელმა მეტნაკლებად მოახერხა. იმის გათვალისწინებით, რომ ზემოაღნიშნული (ჩემს მიერ გამოყოფილი) ასპექტები მნიშვნელოვანია მაუწყებლის ფუნქციონირებისათვის, ვთვლი, რომ ისინი მუდმივად უნდა იყოს · მსჯელობის საგანი.

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში არასრულმა ექვსწლიანმა საქმიანობამ ნათლად დამანახა, რომ მომავალი მრჩევლების საქმიანობაში უნდა იყოს, რამოდენიმე არსებითად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელთა დაკავშირებითაც შესაძლებელი იქნება აზრებისა და ქმედებების თანხვედრა, ჩემი აზრით ასეთი საკითხებია:

1. მაუწყებლისთვის შენობის პრობლემის მოგვარება;
2. პროგრამული ბიუჯეტზე გადასვლა;
3. გრძელვადიანი პროგრამული პრიორიტეტების შექმნა;
4. მაუწყბელის ტექნიკური განვითარების ძირითად ასპექტებზე შეთანხმება.

ბეჟან გობაძე

03 დეკემბერი 2019 წელი